განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
   ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური და სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია.

3. პროგრამის მიზანი:
   სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარება.

4. პროგრამის ბენეფიციარები:
   პროგრამით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, შემდეგი სრულწლოვანი მოქალაქეები:
   ა) სოციალურად დაუცველი პირები;
   ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
   გ) ადიქციის მქონე პირები;
   დ) ხანდაზმული პირები;
   ე) მარტოხელა მშობლები;
   ვ) იძულებით გადაადგილებული პირები;
   ზ) უსახლკარო პირები;
   თ) წარსულში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები;
   ი) ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები;
   კ) მხარდაჭერის მიმღებები;
   ლ) ძალადობის მსხვერპლები;
   მ) სხვა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირები.

5. დახმარების გაცემის წესი:
   ა) თემის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის საფუძველზე, დახმარების საჭიროებასა და დახმარების ოდენობას განსაზღვრავს მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია;
   ბ) დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი (საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა) სახით;
   გ) დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ერთჯერადად, ისე ნაწილ-ნაწილ, გარკვეული პერიოდულობით.

6. დახმარების ოდენობა:
   წლის განმავლობაში დახმარების ოდენობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე განისაზღვრება ოჯახის სრულწლოვან წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:
   ა) ერთსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარი;
   ბ) ორსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარი;
   გ) სამსულიან ოჯახზე - არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარი;
   დ) ოთხ და მეტ სულიან ოჯახზე - არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარი.

7. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა პროგრამის ბენეფიციარი რეგისტრირებულ იყოს და დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

8. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარება მიეცემა ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ცნობა პირის/ოჯახის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ.

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

9. მოსალოდნელი შედეგი:

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების მდგომარეობის გაუმჯობესება.

10. შეფასების კრიტერიუმი:

სოციალური საფრთხის პრევენციის მაჩვენებელი.